

## **სამოქმედო გეგმა დევნილთა მიმართ – საარსებო წყაროების მოძიების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა დროებითი ჯგუფი**

**დავალება 1** - ექსპერტთა დროებითი ჯგუფის მიმართ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაკისრებული ამოცანა მდგომარეობდა შემდეგში: სახელმძღვანელო პრინციპებისა და კოორდინაციის მეთოდოლოგიის ფორმულირება და რეკომენდირება, რაც გამოყენებული იქნება ყველა ორგანიზაციის მიერ საარსებო წყაროების მოძიების პროგრამებზე მუშაობისას.

### **განმარტება**

“საარსებო წყაროების მოძიება” გულისხმობს სტრატეგიას, კაპიტალს და შესაძლებლობებს, რასაც ადამიანები იყენებენ საარსებო წყაროების მოძიებისათვის. ეს ნიშნავს საკმარისი თანხების მოპოვებას საკუთარი თავის და ოჯახისთვის სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შედეგად. ლტოლვილებთან/დევნილებთან დაკავშირებულ კონტექსტში საარსებო წყაროების მოძიებასთან დაკავშირებულ პროექტებში იგულისხმება სხვადასხვა ტიპის საქმიანობები და პროგრამები, რომლებიც მიმართულია მათი თვითკმარობის განვითარებისკენ. ეს შეიძლება მოიცავდეს არაფორმალურ განათლებას, პროფესიულ გადამზადებას, შემოსავლის გაჩენას, ხელობის შესწავლას, თვითდასაქმებას, ინვესტირების წახალისებას და სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. საარსებო წყაროების მოძიების სტრატეგიის მთავარი მიზანი არის თვითკმარობის შექმნა .

### **სახელმძღვანელო პრინციპები**

იხილეთ თანდართული დოკუმენტი სახელმძღვანელო პრინციპებზე დევნილთა საარსებო წყაროების მოძიების პროექტებთან დაკავშირებით, რაც ფორმულირებული და რეკომენდირებული იქნა საარსებო წყაროების მოძიების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა დროებითი ჯგუფის მიერ.

**როგორ უნდა იქნას გამოყენებული სახელმძღვანელო პრინციპები?**

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო პრინციპები არ აწესებენ შეზღუდვებს საკანონმდებლო ვალდებულებების დაკისრების თვალსაზრისით, მათი შემუშავება მოხდა სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნით და დევნილთა მიმართ არსებული სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელებული საარსებო წყაროების მოძიების პროექტების კოორდინაციისა და ხელშეწყობის მიზნით. ამ თვალსაზრისით, სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენება მოხდება შემდეგნაირად:

1. დონორი ორგანიზაციები მიმართავენ სახელმძღვანელო პრინციპებს მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში, ტენდერებში და დევნილთა საარსებო წყაროების მოძიების პროექტებისთვის განხორციელებული სხვა არასაკონკურსო შუამდგომლობების დროს.
2. პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები სახელმძღვანელო პრინციპებს იყენებენ როგორც ჩარჩო დოკუმენტს თავიანთი პროექტების განხორციელებისას.
3. დონორი ორგანიზაციები სახელმძღვანელო პრინციპებს იყენებენ როგორც ჩარჩო დოკუმენტს განაცხადების განხილვისას.
4. დონორი ორგანიზაციები იყენებენ სახელმძღვანელო პრინციპებს საპროექტო შეთანხმებების დროს ან შეთანხმებების თანმხლებ დოკუმენტებში.
5. დონორი ორგანიზაციები პროექტის ერთ გვერდიან მოკლე აღწერაში ადასტურებენ მათი და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების ინფორმირებულობას სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ, ისევე როგორც მათ ვალდებულებას იხელმძღვანელონ აღნიშნული პრინციპებით; პროექტის მოკლე აღწერა ეგზავნება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საარსებო წყაროების მოძიების მიზნით დაგეგმილი პროექტებისათვის .

**სახელმძღვანელო პრინციპები დევნილთა საარსებო წყაროების მოძიების პროგრამებისათვის**

1. აღნიშნული პროექტები უნდა შეიქმნას მთავრობის, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების და სამიზნე ბენეფიციარების აქტიური მონაწილეობით და დახმარებით.
2. აღნიშნული პროექტები უნდა იყოს მრავლისმომცველი, ხელი უნდა შეუწყოს გენდერულ თანასწორობას და უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის სოციალური ერთიანობის და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.
3. აღნიშნულმა პროექტებმა ხელი უნდა შეუწყოს გრძელვადიან, თვითკმარობისთვის გამიზნულ ეკონომიკურ ზეგავლენას ბენეფიციარებზე და ზოგადად ეკონომიკაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის და ეკონომიკური სიმდიდრის შექმნის გზით.
4. აღნიშნული პროექტები უნდა იყოს კომერციულად მომგებიანი ყველა მონაწილისათვის, დევნილების ჩათვლით.
5. აღნიშნული პროექტები უნდა ეფუძნებოდეს საბაზრო მოთხოვნას.
6. აღნიშნულმა პროექტებმა უნდა მოახდინონ სამიზნე ბაზრის ანალიზი და იდენტიფიცირება, ადგილობრივ ბიზნესზე ზეგავლენა და თავიდან აიცილონ ბაზრის გაუარესება.
7. აღნიშნული პროექტები უნდა იყოს საკმარისად კაპიტალიზირებული და მრავლისმომცველი ფინანსების, ადამიანური რესურსების, უსაფრთხოების, სტაბილურობის, კულტურული და ფასწარმოქმნის ფაქტორების ჩათვლით, რაც საჭირო იქნება წარმატებისათვის პროექტის მიმდინარეობისას.
8. აღნიშნულმა პროექტებმა ხელი უნდა შეუწყონ ნებისმიერ პოლიტიკურ თუ პრაქტიკულ რეფორმებს, რამაც შესაძლებელია გააადვილოს პროექტის ფარგლებში დასახული ამოცანების შესრულება და განაპირობოს უფრო ხელსაყრელი გარემოს შექმნა.
9. აღნიშნულმა პროექტებმა უნდა უზრუნველყონ სამიზნე ჯგუფების ქონებრივი უფლებებისა და მიწის საკუთრების უფლებების დაცვა.
10. აღნიშნულმა პროექტებმა უნდა მოახდინონ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართვა და მოახდინონ მათი შესაძლებლობების განვითარება პროგრამის განხორციელების პროცესში.

11. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პროექტის ფინანსური რესურსების ხარჯვას საქართველოში, ადგილობრივი მუშახელის გამოყენებისა და ადგილობრივი ბაზრის ხელშეწყობის მიზნით.
12. აღნიშნული პროექტები უნდა იყოს გაზომვადი და განმეორებადი/განგრძობითი.
13. აღნიშნულმა პროექტებმა უნდა მოახდინონ დაგეგმილი საქმიანობების გარემოზე ზეგავლენის შეფასება და უნდა შეამცირონ ნებისმიერი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე.
14. აღნიშნულმა პროექტებმა უნდა მისდიონ პრინციპს “არ მიაყენო ზიანი”.
15. აღნიშნული პროექტები შესაბამისობაში უნდა იყოს გაეროს გლობალური შეთანხმების 10 პრინციპთან (იხილეთ შემდეგი გვერდი).

### **10 პრინციპი:**

გაეროს გლობალური შეთანხმების 10 პრინციპი ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს და ანტი-კორუფციულ საკითხებზე სარგებლობს საყოველთაო თანხმობით და შედგენილია შემდეგი დოკუმენტების მიხედვით:

- o უნივერსალური დეკლარაცია ადამიანის უფლებების შესახებ;
- o შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაცია ფუნდამენტურ პრინციპებსა და მუშაობის უფლებების შესახებ;
- o რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ;
- o გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ.

გლობალური შეთანხმება კომპანიებისგან მოითხოვს მათი ზეგავლენის სფეროში მიიღონ, მხარი დაუჭირონ და მოქმედებაში მოიყვანონ ძირითადი ღირებულებები ადამიანის უფლებათა დაცვის, შრომის სტანდარტების, გარემოსა და ანტი-კორუფციის შესახებ.

## **ადამიანის უფლებები**

ო პრინციპი 1: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი უნდა სცეს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვას.

ო პრინციპი 2: არ უნდა მიღოს მონაწილეობა ადამიანის უფლებების ბოროტად გამოყენებაში.

## **შრომითი სტანდარტები**

პრინციპი 3: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას და აღიაროს უფლება კოლექტიური შეთანხმების შესახებ.

პრინციპი 4: უნდა გამორიცხოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა.

პრინციპი 5: უნდა გამორიცხოს ბავშვთა შრომა.

პრინციპი 6: უნდა გამორიცხოს დისკრიმინაცია დასაქმებისა და დაქირავების მიხედვით.

## **გარემო**

პრინციპი 7: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოსდაცვითი გამოწვევებისადმი.

პრინციპი 8: თავის თავზე უნდა აიღოს ინიციატივები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებისათვის.

პრინციპი 9: უნდა მოახდინოს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება.

## **ანტი-კორუფცია**

პრინციპი 10: ბიზნესმა უნდა იმუშავოს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, ფულის გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.